ევროკავშირი საქართველოსთვის

Project funded by the European Union

EU4Environment

Green Economy in Eastern Partner Countries

ENVIRONMENTAL INFORMATION AND EDUCATION CENTRE

სასწავლო კურსი
საქართველოში მდგრადი საჯარო შესყიდვების შესახებ

ოთხშაბათი, 12 ოქტომბერი, თბილისის დროით 10:30-14:00 სთ

ხუთშაბათი, 13 ოქტომბერი, თბილისის დროით 10:30-14:00 სთ

პლატფორმა Zoom

დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ, მოგვწეროთ:

info@eiec.gov.ge

Action implemented by:

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNECE | UN environment programme | UNIDO | THE WORLD BANK IBRD • IDA | WORLD BANK GROUP

ზოგადი ინფორმაცია

2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას. ასოცირების შესახებ შეთანხმების ერთ-ერთი მუხლი ეხება მდგრადი საჯარო შესყიდვების პრინციპების დანერგვის აუცილებლობას. მდგრადი საჯარო შესყიდვები არის პროცესი, რომლის დროსაც საჯარო უწყებები ცდილობენ მდგრადი განვითარების სამ საყრდენს - ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით ასპექტებს შორის სათანადო ბალანსის მიღწევას, საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს შესყიდვის ყველა ეტაპზე. რამდენადაც, მდგრადი საჯარო შესყიდვების კონცეფცია არის სრულიად ახალი, ინოვაციური მიდგომა საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკისათვის, საჯარო უწყებების მიერ მდგრადი საჯარო შესყიდვების განსახორციელებლად საჭირო იყო მდგრადი საჯარო შესყიდვების მიდგომების შემოღება, მათ შორის, შესაბამისი პოლიტიკის გეგმის შემუშავებითა და შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით.

გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა არის ხუთი პარტნიორი სააგენტოდან ერთ-ერთი, რომელიც ახორციელებს ახლად დაწყებული, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული EU4Environment (2019-2022) პროგრამის აქტივობებს. ეს რეგიონული პროგრამა მხარს უჭერს 6 ქვეყანას, მათ შორის საქართველოს, პოლიტიკის დაგეგმვისა და ინვესტიციების გამწვანებაში, ინოვაციური პროდუქტებისა და ტექნოლოგიების ათვისების სტიმულირებასა და გარემოსდაცვითი საქმიანობის სარგებლიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში. კერძოდ, EU4Environment–ის კომპონენტის — „ცირკულარული ეკონომიკა და ზრდის ახალი შესაძლებლობების“ ფარგლებში, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა მხარს უჭერს საქართველოს მდგრადი საჯარო შესყიდვების საკითხებისა და დამატებით ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საქმიანობის პოპულარიზაციაში.

გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან აქტიური თანამშრომლობით ახორციელებს მდგრადი საჯარო შესყიდვების დანერგვისთვის შესაბამის პოპულარიზაციის ღონისძიებებს, მათ შორის, კანონმდებლობის დახვეწის, მდგრადი საჯარო შესყიდვების შესახებ დებულებების შემუშავების/მიღების და მდგრადი საჯარო შესყიდვების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. საქართველოში EU4Environment პროექტის განხორციელების შესახებ გაეროს გარემოსდაცვით პროგრამასა და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ხელშეკრულების 2.9 აქტივობა ითვალისწინებს საქართველოში მდგრადი საჯარო შესყიდვების შესახებ სასწავლო კურსის ჩატარებას. აღნიშნული სასწავლო კურსის მიზანია მდგრადი საჯარო შესყიდვების კონცეფციის, მისი სარგებლის, აგრეთვე, მდგრად საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული სამართლებრივი დებულებების პროექტისა და მდგრადი საჯარო შესყიდვების შესახებ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობა.

სასწავლო კურსის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

- მდგრადი საჯარო შესყიდვების კონცეფციისა და მისი სარგებლის წარდგენა და განხილვა;
- ახალ „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში მოცემული, მდგრად საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული სამართლებრივი დებულებებისა და მდგრადი საჯარო შესყიდვების შესახებ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა;

- მდგრადი საჯარო შესყიდვების შემდგომი იმპლემენტაციისათვის შემუშავებული, შესაბამის სახელმძღვანელოებში მოცემული მიდგომების განხილვა, მდგრადი საჯარო შესყიდვებისათვის განკუთვნილი შესყიდვის ობიექტებისთვის (საქონლისთვის);
- საქართველოს მდგრადი საჯარო შესყიდვების კრიტერიუმების წარდგენა და განხილვა;
- მდგრადი საჯარო შესყიდვების განხორციელების სხვადასხვა მაგალითის, მათ შორის, ევროკავშირში მდგრადი საჯარო შესყიდვების პრაქტიკების წარდგენა და განხილვა.

მონაწილეები

სასწავლო კურსს დაესწრებიან სტუდენტები საქართველოს უნივერსიტეტებიდან, ქალი მეწარმეები, საქართველოს შემსყიდველი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე, მდგრადი საჯარო შესყიდვებით დაინტერესებული სხვა პირები.

პრაქტიკული ინფორმაცია

ორდღიანი სასწავლო კურსი ჩატარდება დისტანციურად, პლატფორმა Zoom-ის გამოყენებით. გთხოვთ, იხილოთ ბმული:

12 ოქტომბერი, თბილისის დროით 10:30-14:00 სთ
https://us06web.zoom.us/j/81083733957

შეხვედრის ID: 810 8373 3957

ხუთშაბათი, 13 ოქტომბერი, თბილისის დროით 10:30-14:00 სთ
https://us06web.zoom.us/j/86976482414

შეხვედრის ID: 869 7648 2414

ყველა რეგისტრირებული მონაწილე მიიღებს პლატფორმაზე წვდომის შესახებ ინფორმაციას. სასწავლო კურსი ჩატარდება ქართულ ენაზე.

EU4Environment-ის შესახებ

„ევროკავშირი გარემოსთვის“ (EU4Environment) მიზნად ისახავს, დაეხმაროს ექვს პარტნიორ ქვეყანას: სომხეთს, აზერბაიჯანს, ბელარუსის რესპუბლიკას, საქართველოს, მოლდოვას, უკრაინას, რათა მათ დაიცვან თავიანთი ბუნებრივი კაპიტალი და გაზარდონ მოსახლეობის გარემოსდაცვითი კეთილდღეობა, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მოქმედებების მხარდაჭერით, მწვანე ზრდის დემონსტრირებითა და შესაძლებლობების განვითარებით, გარემოსდაცვითი რისკებისა და ზემოქმედების მართვის მექანიზმების დანერგვით.

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდება ხუთი პარტნიორი ორგანიზაციის: OECD, UNECE, UNEP, UNIDO და მსოფლიო ბანკის მიერ, დაახლოებით 20 მილიონი ევროს ბიუჯეტის ფარგლებში. პროექტის განხორციელების პერიოდია - 2019-2022. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: EU4Environment@oecd.org

დღის წესრიგი

დრო	საკითხი
დღე I, ოთხშაბათი 12 ოქტომბერი	
10:30-10:40	გახსნითი სიტყვა • სოლომონ პავლიაშვილი, მინისტრის მოადგილე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (tbc) • თამარ ალადაშვილი, დირექტორი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი • კახა დემეტრაშვილი, თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე მოდერატორი: ნატო ბერიძე, ეროვნული სამართლის ექსპერტი, EU4Environment პროექტის ჯგუფი
10:40:10:50	სასწავლო კურსის მონაწილეთა გაცნობა
10:50-10:55	ყინულის გალღობის სავარჯიშო: რა არის მდგრადი საჯარო შესყიდვები? რატომ მდგრადი საჯარო შესყიდვები?
10:55-11:30	მდგრადი საჯარო შესყიდვები და რეგულირების რეფორმა საქართველოში • ნატო ბერიძე, ეროვნული სამართლის ექსპერტი, EU4Environment პროექტის ჯგუფი
11:30-11:40	შესვენება
11:40-12:10	მდგრადი საჯარო შესყიდვების პრაქტიკული განხორციელება ნაწილი I (სასიცოცხლო ციკლის დანახარჯის მიდგომა, ტექნიკური სპეციფიკაციები, ეკოეტიკეტირება) • ნატო ბერიძე, ეროვნული სამართლის ექსპერტი, EU4Environment პროექტის ჯგუფი
12:10-12:20	შესვენება
12:20-12:50	მდგრადი საჯარო შესყიდვების პრაქტიკული განხორციელება ნაწილი II (შერჩევის კრიტერიუმები, ხელშეკრულების მართვა, მონიტორინგისა და კონტროლის ინსტრუმენტები) • ნატო ბერიძე, ეროვნული სამართლის ექსპერტი, EU4Environment პროექტის ჯგუფი
12:50-13:15	კითხვა პასუხის სესია და ერთობლივი დისკუსია

	• **მოდერატორი:** ნატო ბერიძე, ეროვნული სამართლის ექსპერტი, EU4Environment პროექტის ჯგუფი
13:15-13:55	**პრაქტიკული სავარჯიშო: თემატური ჯგუფური სავარჯიშო სოციალური შესყიდვის საქმეებზე** ჯგუფებს მიეცემათ საქმეები, შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების აღნიშვნით. მდგრადი საჯარო შესყიდვების კონცეფციის, აგრეთვე, სესიის განმავლობაში სამართლებრივი დებულებების პროექტების გათვალისწინებით, მონაწილეებმა უნდა გაანალიზონ საქმეები და განიხილონ, კონკრეტული შემთხვევა საჭიროებს თუ არა რეაგირებას მდგრადი საჯარო შესყიდვების ინსტრუმენტებით და საჭიროების შემთხვევაში, საჯარო შესყიდვის რომელ ეტაპზეა მიზანშეწონილი აღნიშნული რეაგირების განხორციელება. • **მოდერატორი:** ნატო ბერიძე, ეროვნული სამართლის ექსპერტი, EU4Environment პროექტის ჯგუფი
13:55-14:00	**სასწავლო კურსის პირველი დღის დახურვა** • თამარ ალადაშვილი, დირექტორი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი • კახა დემეტრაშვილი, თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე
დღე II, ხუთშაბათი, 13 ოქტომბერი	
10:30-10:40	**სასწავლო კურსის პირველი დღის რეფლექსია** **მოდერატორი:** ნატო ბერიძე, ეროვნული სამართლის ექსპერტი, EU4Environment პროექტის ჯგუფი
10:40-11:20	**ენერგოეფექტური სახელმწიფო შესყიდვები საქართველოში** • ნატო ბერიძე, ეროვნული სამართლის ექსპერტი, EU4Environment პროექტის ჯგუფი
11:20-11:55	**საქართველოს მდგრადი საჯარო შესყიდვების კრიტერიუმები და პოლიტიკის პრიორიტეტები** • ნატო ბერიძე, ეროვნული სამართლის ექსპერტი, EU4Environment პროექტის ჯგუფი
11:55-12:25	**კითხვა პასუხის სესია და ერთობლივი დისკუსია** • ნატო ბერიძე, ეროვნული სამართლის ექსპერტი, EU4Environment პროექტის ჯგუფი
12:25-13:10	**მდგრადი საჯარო შესყიდვების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითები** • ნატო ბერიძე, ეროვნული სამართლის ექსპერტი, EU4Environment პროექტის ჯგუფი
13:10-13:40	**პრაქტიკული სავარჯიშო: თემატური ერთობლივი დისკუსია მდგრადი საჯარო შესყიდვების შესახებ** ჯგუფებს მიეცემათ პრაქტიკული საქმეები, სადაც შემსყიდველი ორგანიზაციების საჭიროებები იქნება იდენტიფიცირებული. მდგრადი საჯარო შესყიდვების სამართლებრივი დებულებების პროექტის, მდგრადი

	საჯარო შესყიდვების კრიტერიუმებისა და ამ მიმართულებით არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მონაწილეებს დაევალებათ მდგრადი საჯარო შესყიდვების კრიტერიუმების პრაქტიკაში გამოყენება შესყიდვის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე, საპილოტე შესყიდვის პროცედურების გამოსაცხადებლად. • **მოდერატორი:** ნატო ბერიძე, ეროვნული სამართლის ექსპერტი, EU4Environment პროექტის ჯგუფი
13:40-13:55	**კითხვა პასუხის სესია და ერთობლივი დისკუსია** • **მოდერატორი:** ნატო ბერიძე, ეროვნული სამართლის ექსპერტი, EU4Environment პროექტის ჯგუფი
13:55-14:00	**სასწავლო კურსის დახურვა** • თამარ ალადაშვილი, დირექტორი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი • კახა დემეტრაშვილი, თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე